

გაზეთის ფასი

გაზეთით ტფილისში და გარეშე ადგილებში:	გაუგზავნელათ:
პირთა წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.	
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.	

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მედიკალი-მედიკალი და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, მეტეოლოგიის სახლში ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის აღრისი: **Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.**
რედაქციის კანტორაში მიიღება უკველ-გვარი მანქანადება სხვა და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრისის ასოებით გაზეთის სტიქონზედ 8 კაპ.

საკონსტიტუციო და სალიტერატურო გაზეთი.

ხელისმოწერა

ნახევარწლის „დროების“ გამოსცემაზე

შეიძლება თბილისში, მედიკალი-მედიკალის და კაპ. სტამბაში.

ხელის მომწერს ეგზავნება „დროების“ № 26 ამ წლის 1 ივლისიდან მომავალი წლის 1 იანვრამდე.

შასი გაგზავნილი — — — — — 4 მან.

— გაუგზავნელად — — — — — 3 —

შინაარსი:

პოლიტიკა: შრანცია. — იტალია. — ისპანია. — ანგლია. — ტელეგრაფები. — ლისტერვეგი. — საქართველო. — თბილისიდან მუთაისამდე. — სხვა და სხვა ამბები. — სავაჭრო ცნობები.

კონსტიტუცია.

შრანცია.

პარიზი, ივნისის 2-ს. „მედიკალი-მედიკალი“ გაცნობებს შემდეგს ამბებს პარიზის არეულობაზე: პოლიციამ იცოდა, რომ ბევრი ცდილობდნენ არეულობის მოხდენას პარიზში. პრეზიდენტი დაიწყო მისის 31-ს, მაგრამ პოლიციის პრევენციის გამოცხადების გამო, რომ თუ არეულობას არ მოიშლიან, მაშინ ყრილობაზე რა კანონებია, იმათ სრულის სიმკაცრით მოვიხმარებთო, ივნისის სამს ჩამოვარდა სიმშვიდე. ამ ხანში იყვნენ შემდეგი არეულობები: ჯერ ყველა ჩუმად იყო, უცდიდნენ მიზეზს; მერე, როცა ერთს სენის მახარაში მოხდა ამორჩევა და ისე არ გათავდა, როგორც ხალხს უნდოდა, მაშინ მისის 26-ში საღამოს 8 საათზე შეიკარნენ მრავალი კრებები სარბონის კვარტალში და მონარტრის ბულვარზე.

ამ დროს პოლიციის სერჟანტებმა გამოიარეს რიგობის დასაცველად აქეთ და ხალხს სარბონისა და წმ. მიხეილის ბულვარის ყავახნებიდან დაუწყო იმათ სტაქების, ბოთლებისა და თევშების სროლა. ბევრი სერჟანტები დასჭრეს. ამ გვარზე სცენები მოხდა მალაქის რატუმასთან, სადაც სერჟანტებს თან ესროდნენ სხვა და სხვა ნივთებს და თან ლანძღიდნენ. მონარტრის ბულვარზედაც ხალხი მოვიდა დიდს უსიამოვნებაში, როდესაც გაიგო გადაწყვეტილება ხალხის ხმის მიღებლობაზე. პოლიციის აგენტებს ყველგან ლანძღიდნენ; ესროდნენ ქვებს და ბოლოც ერთი პოლიციის კომისარის ძალიან დასჭრეს, როდესაც ის სცდილობდა ერთი ყავახანიდან გამოერეკა ხალხი. ეს არეულობა შუალამდინი განგრძელდა. მეორე დღეს უფრო დიდი არეულობა მოხდა. რვა საათიდანვე ხალხმა დაიწყო მოგროვება, კიჟინა შხირდება, მღერიან „მარსელიოზას“. შეტონების ტარება შესწყდა. პოლიციის ვერაფრით ვერ დაუცავს რიგი. ბულვარებზე სწვენ იმ ჟურნალებს, რომელნიც რევოლუციის წინააღმდეგს ქადაგებენ; ღუქებს ჰკეტენ. ხალხში გაჩნდნენ ისეთები, რომლებიც ურჩევდნენ ომიანობას. არეულობამ ღამის პირველ საათამდე გასტანა, მანამ პარიზის მცველი გა-

მოვიდოდა. მართა გუნდმა მოიწადინა, რომ მეშვიდე მახარაში ყოფილიყო უთოთ ამორჩეული ის კანდიდატი, რომელიც არ ამორჩიათ. ამ დროს მოჰქონდათ ტუსაღის კარეტა. ეს რომ დინახეს, მაშინვე დააყენეს და ამასთან რამდენიმე სერჟანტიც დასჭრეს.

მხლა ხალხი დაწყნარდა. — 6 ივნისიდან 10-მდე დაატუსაღეს 2000 კაცი, ასე რომ სატუსაღოებში ადგილი არ არის; იმათზე არის ეხლა დანიშნული გამოძიება, რომლიდანაც გამოჩნდა, რომ ბევრი ტყუილ-უბრალოთ არიან დაჭერილნი. მხლა პარიზში ისევ დამკვიდრდა მშვიდობიანობა.

იტალია.

ფლორენცია მაისის 30-ს. პალატის სხდომაში ლაპარაკობდნენ კომისიის გამართვაზე, რომელმაც უნდა გამოძიოს — მართლა პალატის წევრებს აქვთ მონაწილეობა თამბაქოს ბაჭში, თუ არა.

შუ. პორტე თხოულობდა, რომ ეს კომისია უთოთ გამართულიყო, ამიტომ რომ გამოჩნდეს, მართლა არიან წევრები დამნაშავენი, თუ ცილს წამებენ იმათ. იმან დაუმატა, რომ გამოძიება საქირა პალატის ღირსების დაცვისათვის. სხვებმაც სთქვეს, რომ როგორი ბოლოც უნდა ჰქონდეს გამოძიებას, პალატა მაინც მოიგებს ხალხის თვალში.

კომისია ჰსდგება ცხრა კაცისგან, რომელთაც უნდა გასინჯონ ყველა გვარი დოკუმენტები ამ საქმის შესახებ. თხოულობდნენ, რომ ამ კომისიის მოქმედება სიჩუმეში არა რჩებოდეს და ყოველთვის აცხადებდნენ გაზეთებში.

ანგლია.

ლონდონი, ივნისის 7-ს. ბუშინ პალატის საღამოს სხდომაში ლაპარაკობდნენ ირლანდიის ეკლესიის ბილოს მეორეთ წაკითხვაზე. აქ იყვნენ თითქმის ყველა წევრები პალატისა. ზრათი როსელი, გერცოგი არგაილი და ლორდი უესტმურგი იდგნენ ამ ბილოს მეორეთ წაკითხვის მხრივ; და ლორდები მბერკორნი, ლიჩფილდი და ძერნსი წინააღმდეგ ამისა. ბილის მესამე საათზე დაიწყეს კენჭის ყრა და 179 ხმა ამოვიდა ბილოს მეორეთ წაკითხვის სასარგებლოთ, 146 წინააღმდეგ; მმართველობის მხარეს 33 ხმა მეტი ამოჩნდა.

ისპანია.

მადრიდი. როგორც გაცნობებს გაზეთი „Imparcial“ სამინისტრო შესდგა შემდეგი წევრებისგან: მინისტრების რჩევაში თავმჯდომარედ და სამხედრო მინისტრად დანიშნეს მარშალი პრიმი; სახელმწიფო და გარეშე საქმეების მინისტრად — სილველა; იუსტიციის მინისტრად — მერსერა; ზღვის — ტაპეტე;

ფინანსის — შიგვეროლა; შინაგანი საქმეების მინისტრად — საგასტა.

8 ივნისს, აქ მოვიდა ერთი ისპანიის ტახტზე კანდიდატებთაგანი — გერცოგი მონპანსიე. ამის თაობაზე უ. რუბიომ სთხოვა კორტესებს რომ გამოუცხადონ უკმაყოფილება მ. მონპანსიეს ისპანიაში მოსვლისათვის. — პრიმიმა უპასუხა, რომ რადგან მონპანსიემ მიიღო ფიციო, ამიტომ არაფერი შიში არ უნდა გქონდესო.

ტელეგრაფები

(პეტერბურგში მიღებული 21 ივნისს).

პარიზი. საქურ ბირჟაზე ხმა გავარდა, რომ ჯარების შემოკლება უნდათო.

თავრიზი 23 ივნისს. ხოლერა სულ თან და თან მატულობს; უკანასკნელ დროში 30 კაცი ჰხდება ხოლმე ავით ყოველ დღეში.

სანტ-პეტროპოლი ივნისის 6-ს. ბუშინ-დელმა დღემ განელო მშვიდობით, მაგრამ ცოტა კიდევ არეულობა ჩნდებოდა. ის ადგილები, საცა კის ნახშირის მალარობები არის, სულ დიდ ძალს ჯარს დაუჭერია.

დისტრევი, მისი ცხოვრება და აზრები

(Дѣтскій садѣ, 1869 г. мартъ и апрѣль)

1866 წ. გარდაიცვალა განთქმული გერმანიის პედაგოგი *) — ადოლფი ლისტერვეგი; იმან ამოაჩინა პედაგოგიაში ისეთი ქეშმარიტებები, რომ იმის სახელი სამუდამოდ დაუფიქარი იქმნება კაცობრიობისთვის. ლისტერვეგის თხოულებაზე ხალხის განათლებაზე და ყმაწვილის აღზრდაზე ჰქონდა და ეხლაც აქვს დიდი გავლენა თითქმის მთელ მეროპაში. შექველია, რომ ჩვენი დედ-მამებისათვისაც სასარგებლო იქნება — ვაცნობოთ იმის აზრები ყმაწვილის აღზრდაზე, რადგან ისინი ძალიან დაუდევნელად შეჰყურებენ ამ საქმეს. ჩვენ მშობლებს ჰგონიათ, რომ, თუ შვილი მისცეს რომელიმე სასწავლებელში, იმათ ასრულებს თავის ვალდებულობა; იმას კი არ ჰფიქრობენ — თუ რა გავლენა აქვს ყმაწვილზე თვით ოჯახს, ესე იგი იმ პირებს, რომლებიც იმას ვარს ახევიან.

ჩვენ აქ მოკლეთ ავსწერთ ჯერ ლისტერვეგის ცხოვრებას და შემდეგ ვაცნობებთ მკითხველებს იმის აზრებს ყმაწვილების აღზრდაზე.

ადოლფი ლისტერვეგი დაიბადა 1790 წ.; მასსადამე ის 76 წლისა მომკვდარა. მამა მისი იყო კარგა შეძლებული კაცი; იმას უყვარდა განათლება და იმიტომაც ეწეოდა ქველას, ვისაც კი უნდოდა განათლების მიღება და შეძლება არ ჰქონდა; ამბობენ, რომ ერთხელ მივიდა თურმე ადოლფი მამასთან და უთხრა, რომ ერთს იმის ამხანაგს — თურძის შვილს სურს განაგრძოს სწავლა უნივერსიტეტში, მაგრამ შეძლება არა აქვსო. ლისტერვეგის მამამ მოიხმო თურმე ის ყმაწვილი, ეგზამენი უყო და რა დარწმუნდა იმის ნიჭში,

*) პედაგოგია არის სწავლა ყმაწვილების აღზრდაზე; პედაგოგი — კაცი, რომელიც ზრდის ყმაწვილებსა — როგორც ზნეობით, ისე გონებითაც. —

მოუყარა ფულებს თავი და იმდღესვე მისცა ყმაწვილს უნივერსიტეტში წასასვლელად.

ღედა მოუყვდა ლისტერვეგს, როდესაც უკანასკნელი იყო რვა წლისა, ასე რომ იმას არ ღირსება დედის მოფერება და სიყვარული; მის მაგიერად მამას უყვარდა ის ძალიან; თითქმის არასოდეს არ იშორებდა იმას: გარეთ და შინ — სტუმრებთანაც ადოლფი მამას არ შორდებოდა.

თავიდანვე ის იყო ცოცხალი და ცოდნის მოყვარე ყმაწვილი. ლათინურ სკოლაში სწავლა პატარა ადოლფს ვერაფრად მოსწონდა; იმას უფრო მიიზიდავდნენ ტყეები, მინდვრები და სახელოსნო სახლები. პა რას ამბობს ის თავის თავზე:

„ჩვენ ბავშვები, უფრო მთებზე და ტყეებში ვატარებდით დროს, ვიდრე სკოლაში. ჩვენ ვეძებდით ბუდეებს, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ დაგვექცია ისინი, ან კვერცხები ამოგვეკრიფინა; არა, ჩვენ მართა ვაკვირდებოდით და ვათვალიერებდით იმათ“.

„ამას გარდა, ამბობს ლისტერვეგი, მე ბევრი დრო გამიტარებია მჭედლებთან, ხარატებთან და სხვა ხელოსნებთან; დიდის სიამოვნებით ვეხმარებოდი იმათ მუშაობაში. მუშაობის დროს ისინი მომიყვებოდნენ ხოლმე თავის ცხოვრების ამბავს. ბედნიერად მიმაჩნდა ჩემი თავი, როცა მჭედელი საბერეგლის ბერვის, ან ცეცხლის გაჩაღების ნებას მომცემდა. — მამწვილებს ანებს ხოლმე მუშებთან ყოფნა, რადგან ხშირად ისინი გალობენ იმისთანა სიმღერებს და ხანდისხან იმისთანა ამბავებს მოჰყვებიან, რომლებიც ყმაწვილმა არ უნდა გაიგონოს; მაგრამ ის მჭედელი, რომელთანაც მე დავდიოდი ხოლმე, ძალიან კეთილშობილი კაცი იყო. იმის სიკვდილი რო შევიტყე, ძალიან მეწყინა.“

1808 წ. ლისტერვეგი შევიდა უნივერსიტეტში მათემატიკის, ისტორიისა და ფილოსოფიის სასწავლებლად.

უნივერსიტეტში სწავლის გათავების შემდეგ ლისტერვეგს უნდოდა ინჟინერობა, მაგრამ სხვა და სხვა გარემოებებისა გამო ის იძულებული იყო თავისუფლებიედ გამხდარიყო ერთ კერძო სახლში მასწავლებლად. შემდეგ მიიწვიეს ის მასწავლებლობის ადგილზე ერთ სახალხო სკოლაში, სადაც ახალი მეთოდით ასწავლიდნენ ყმაწვილებს. აქ ის გაეცნო ზოგიერთ მასწავლებლებს, რომლებთანაც ჰქონდათ იმაზე დიდი გავლენა.

თუმც იმდროს ლისტერვეგს რაცხდნენ იქ კარგ და მცოდნე მასწავლებლად, მაგრამ ის ხშირად წითლდებოდა, ხოლმე, როცა საზოგადოებაში სადმე შეხვდებოდა ყოფნა; ამიტომ რომ იმდროს საზოგადოთ ნემცები და განსაკუთრებით სამღვდლოება, არა სცემდნენ მაგდენ პატივს სახალხო სკოლების მასწავლებლებს.

თავის თავი იმან შესწირა ხალხის განათლებისათვის; როცა იმას შეაძლიეს კარგი ჯამაგირიანი ალაგი ერთ გიმნაზიაში, იმან უპირი თქვა და დარჩა ისევ მასწავლებლად სახალხო სკოლაში. იმან კარგათ გაიწერა ხალხის მდგომარეობა, იმის ჭკუის გახსნისა და მატერიალურად გაუმჯობესობისა საქირება და შესწირა თავის თავი ხალხის განათლების საქმესა.

ამდროს რეინზე (მერსი) გახსნეს სახალხო მასწავლებლების მოსამზადებელი სემინარია და ლისტერვეგი დანიშნეს იქ ლიტერატორად. თავის თანამდებობაში შესვლის დროს ლისტერვეგმა თავი სიტყვა, რომლისაგან ჩვენ ამოგწერთ რამდენსამე აზრს:

„პირველი შეკრები ყველაზე უფრო საჭიროა ყოველი სახელმწიფოსათვის. იმათი შემწეობით უკეთესდება ყოველი ერი.“

„მასწავლებელს შეკრებისთვის ისეთი მნიშვნელობა აქვს, როგორც მზეს მიწისთვის.— თუ მასწავლებელი თავის სულს არ ჩაუდგამს ყმაწვილებს, შეკრება თავის დღეში ვერ იხეობება.“

„სასურველია, რომ ამ ქალაქის მმართველობამ და მოქალაქეებმა შეეწიონ ჩვენ სემინარიას მატერიალურად და სხეობითაც.“

პირველს სამ წელიწადს აქ ძალიან გაუჭირდა ლისტერვეგს, რადგან ცოტა თანამშრომლები ჰყავდა; ამას გარდა იმაზე გააგდეს ცუდი ხმები და ბევრ ქორებს ლაპარაკობდნენ საზოგადოებაში. მაგრამ თვით საქმე—ყმაწვილების სწავლაში წარმატებამ—დამტკიცა ყველას, რომ ის ხმები უსაფუძვლონი იყვნენ.— ლისტერვეგი ასწავლიდა წიგნით, სანამ ბრულის სემინარიის ინსპექტორს—მაგერს არ გაეცნო; იმან უჩვენა ლისტერვეგს—თუ როგორ უნდა გარდასცეს მასწავლებელმა ყმაწვილს საგნები უწიგნოთ და რა სარგებლობა აქვდა.

„მას აქვთ, ამბობს ლისტერვეგი, საგნების გარდაცემის დროს შეკრებაში მე ჩემ დღეში არ მიხმარია წიგნი.“— ლისტერვეგი მარტო ყმაწვილების სწავლაში არ იყო გართული; იმას იზიდავდა აგრეთვე საზოგადოება და იმის ცხოვრება; ხშირად ეუბნებოდა ხოლმე თავის მეგობარს ზოფმისტერს (იქაური ლათინური შეკრების წესდამდგენი), რომ ჩვენ ქალაქში საზოგადო ცხოვრება, ერთობა არა გვაქვს.— ლისტერვეგმა შეადგინა პლანი—თუ როგორ უნდა გარდაკეთდეს საზოგადოების ცხოვრება, როგორი უნდა იყვნენ საზოგადორო შეკრები და სხვა მასწავლებლები და რა კავშირი უნდა ჰქონდეს იმათ სარწმუნოებასთან და სახელმწიფოსთან.— მაგრამ ეს პლანები არ ასრულდნენ, რადგან საზოგადოებაში საშინო აზრების კაცად მიჩნდნენ ის და ბევრს არ უჯერებდნენ.— შემდეგ ლისტერვეგმა და ზოფმისტერმა გააწყვეს საერთო ოჯახობა, იმისთვის რომ გაუადვილდეს იმათ ცოდნებს ოჯახის მოვლა და დარჩეს თავისუფალი დრო ჰქუის გახსნისათვის, რათა იმათაც შესძლონ კაცების ლაპარაკში მონაწილეობის მიღება და აზროვანი ლაპარაკის გამართვა.—

„ღისტერვეგმა დაიარა თითქმის მთელი ბერმანიის სამასწავლებლო სემინარიები; მოგზაურობის დროს ის თითონაც სწავლობდა და სხეებსაც უსწორებდა, თუ რამ ნაკლებად ენახებოდა რომელსამე სემინარიაში. შევლათ ფერს რასაც კი შენიშნავდა ყურადღების დიარს თავის მოგზაურობის დროს, ის ბეჭდავდა გაზეთში Rheinische Blätter („რეინის ფურცელი“), რომელსაც ის სცემდა 1827 წლიდან და რომელიც დღემდე გამოდის.—

მოგვყავს აქ რამდენიმე ლისტერვეგის აზრები, რომელთაც ის უქადაგებდა თავის „რეინის ფურცელში“.

„ძალი უნდა დაფასდეს მარტო იმ ღირსებებით, რომელნიც იმას თვითონვე შეუძენია; შთამომავლობა არც ამაღლებს და არც დაამდაბლებს კაცს. ძეითლშობილური აზრებით და წადილებით უნდა დაფასდეს კაცი; ამ თვისებების მიღება მემკვიდრეობით არ შეიძლება.—

„თუ მოწაფეებს არ შეუძლიათ კარგათ, ცხადია გამოთქმა თავის აზრისა და ურევნ ერთმანეთში სხვა და სხვა სიტყვების და აზრების მნიშვნელობას—ეს იმის ნიშანია, რომ იმ შეკრალს, სადაც ის მოწაფეები სწავლობდნენ, თავის დანიშნულება არ ესმის.—

„უნდა ვახსოვდეთ, რომ წიგნის კითხვა არ არის მიზანი, არამედ მარტო სახსარი, რომლის შემწეობით ჩვენ უნდა ვავიგოთ რაც წიგნი სწერია.“

„ძალი ბავშობიდან უნდა იყოს მიჩვეული გავიგნებას; თუ ბავშვი დედ-მამის გავიგნებას არ არის შეჩვეული მაშინ ის, რომ გაიზრდება, ვერ დაემორჩილება თავის სამშობლოს გონიერულს კანონებსა.—

„ნეტავი დემოსფენით მჭევრმეტყველი იყო, რომ დეარწმუნო ყოველი პედაგოგი მასში, რომ რიგიანობა და დაწყობილობა შეკრალში პირველი საქმეა.—

„სოცხალი და მხიარული ხასიათის ყმაწვილი ორჯელ უფრო ბევრს სწავლობს, ვიდრე მოწყენილი.—

„მე დარწმუნებული ვარ, რომ რაც ქვეყანა გაჩნდა მას აქვთ ერთი ყმაწვილი არ დატკუნანებულა ცემით. ამიტომ ყოველი მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, რომ არას დროს არ სცემოს მოსწავლეს.—

„თუ მასწავლებელს არა აქვს ცხოვრებაში რომელიმე კეთილი წადილი, ის თავის დღეში კარგს ვერას გააკეთებს.

„ყოველი მასწავლებელი უნდა კითხულობდეს იმ წიგნებს, რომლებიც შეეხებიან სწავლას და აღზრდას, იმისთვის რომ ყოველთვის იყოს წარმატებაში.“

„სხეულის ვარჯიშობა დიდად საჭიროა ყმაწვილის აღზრდაში. რამდენიც სხეული სუსტია იმდენათ ნაკლებათ ემორჩილება ის ჰქუის. მინც სიცოცხლეს გულ ნაკლებად უყურობს, ის უთუოთ სხეულით აეთმყოფი უნდა იყოს.“

რადგან ლისტერვეგი იყო დარწმუნებული, რომ მასწავლებელს შეუძლია, ასწავლოს კარგათ მხოლოდ ის, რაც თითონ ცხადათ ესმის, ამიტომ უქადაგებდა, რომ მასწავლებლები თითონაც ყოველთვის უნდა სწავლობდნენ.

(დასასრული შემდეგ №-ში).

საქართველო

„ძვეკაზიის ტომნი, ღუბუას შენიშნით, წარმოგიდგენენ იმ ერთ იშვიათს მაგალითს, რომელთაც აქამომდე შეურყეველათ დაუცვეათ ძველი ყოფა-ცხოვრება. რაც ათასის წლის წინათ შარსტეს შობამდე ყოფილა, რაც სტრაბონის დროს ყოფილა, იგივეა ახლაც. როდესაც თქვენ შესდინართ ხეობების შუა-გულში, სადაც უცხო-ტომთ გავლენას არ უმოკმენია, თქვენ იქ ცხადათ ხედავთ უძველესს ხეობას და ჩვეულებას. ამა ყურადღებით გამოიკვლიეთ ყოფა-ცხოვრება ქართველთ-კოლხთ შთამომავლობისა, რომელიც შაზისა და მნგურის სათავეებში ცხოვრობს: შეუძლებელია, თქვენ თვალ წინ არ აღდგეს ჰომეროს დროება, ჰომეროს ილიადის სურათები. მაგრამ არც ერთს ისტორიის წინა დროთ ტომს არ დაუშვარხავს იმდენათ ძველი ყოფა-ცხოვრება, როგორათაც ჩერქეზის ტომს 34).“ ეს ასეც არის. აი ამისი დასამტკიცებელი საბუთები:

გამოკვლეულია, რომ ტავრიკული ანუ ტავრის თემი (შირიში) ყოფილა დასახლებული ფინიის მომდგმისაგან იმ დროს, როდესაც ძვეკაზიის ჩრდილო-მხარეს პირველათ მოსდგამია ინდო-ევროპული შთამომავლობა, რომელსაც შეადგენდნენ კიმერიელები ანუ კიმერნი. ტავრის ფინიები ისტორიაში ცნობილი არიან ტავრებათ ანუ მთიულებათ (toira ბსირიის ენაზე ჰნიშნავს მთას) 35). ტავრების ღმერთათ ყოფილა, როგორც ჰეროდოტი მოგვითხრობს, ქალწული, ტავრებისავე სიტყვით სახელ-წოდებული იფიგენიათ; იფიგენიის ტაძარი ყოფილა აღმართული მალს კლდის ქედზე; იმას მხსენებლათ უცხო-ტომის კაცებს და ტყვეებს თურმე ჩასტყორცნიდნენ კლდიდან და თავებს კი კეტებზე აგებულს მოიტანდნენ შინ და აქ სახლგზე გარდამ მილურსმადგნენ. იფიგენია მიითვისეს ბერძენებმა, რომელთაც იმას უწოდებდნენ ღმერთს. იფიგენია ანუ ღმერთთა-ვისის რიგით შევიდა თვით ძვეკაზიაში დასახლებულა მხარეებში. ჩინები და ლეკები, რომელნიც ყოფა-ცხოვრებით მომატებულათ არიან ტავრელებთან დაახლოებულნი, განსაკუთრებით მტრობდნენ უცხო-ტომთ; ჩერქეზნი ჰზოცდნენ თვითოველს უცხო-ქვეყნის კაცს, რომელიც კი იმათ ხელში ჩაუვარდებოდა. „იმათ ღმერთთა ქალწული იფიგენია იყო, რაც იყო სომხების ანაზიდი ანუ მენერა-მთავრესამლოთ წესი იბერებისა და ალბანებისა წარმოადგენდა აგრეთვე ტავრების წესს: ალბანები, სტრაბონის სიტყვით, თავიანთს სცემდნენ მზეს, იუპიტერს და მთავრეს (ანაზიდს), რომლის ტაძარიც აღმართული იყო იბერიის საზღვარზე და რომელსაც დაწესებულს დღეს, საზოგადო ყრილობაში შესწირავდნენ მსხვერპლათ აღამიანს 36). ჩინების აზრით კოლხებსაც იფიგენი წესი უნდა ჰქონიყოთ, რადგანაც იმათი თავიანთ-ცემის საგანი იყო ისევე მზე, სახელ-წოდებული რეათ 37). ღუბუას სიტყვითარწმუნობის მსგავსება უფრო ცხადია ტავრებში და ბალტიის ზღვის პირის ჩუღოფინებში, რომელნიც იყვნენ სახელგანთქმულნი მეკობარნი და იწოდებოდნენ კურებოთ, ლივებათ და ესტებათ. იმათ ის ჩვეულება ჰქონდათ, რომ თუ ვინმე იმათ სარწმუნოებას არ აღიარებდა, იმას ისინი ცეცხლში დასწავდნენ,—და ომში ტყვეთ დაჭერილს მსხვერპლათ შესწირავდნენ თვითონ ღმერთს. ეს მსგავსება იმას გვიმტკიცებს, ამბობს ღუბუა, რომ ტავრო-ძვეკაზიის ფინიება და ბალტიის ზღვის პირის ჩუღოფინები ოდესმე ერთმანეთთან დაკავშირებულნი უნდა ყოფილიყვნენ 38). შარსტელს სარწმუნოებაზე თვით შარსტელის-ცხოვრებაც ეთანხმება სტრაბონს. შარსტელის-ცხოვრება გვიამბობს, რომ ორის საუკუნის წინ შარსტეს შობისა ქართველები „მსახურებდნენ მზეს, მთავრეს და ხუთს ვარსკვლავს,“ რომ ისინი თავიანთ უმაღლეს ღმერთათ რიცხვდნენ არამზს, რომელიც იყო სომხების არამზტი, სპარსების მრუმუზი, წარმომადგენელი მზისა ანუ ცეცხლისა, რომ იმათ ჰყვანდათ მოგენი „მზის მსახურნი.“ ამასაც კი იტყვის შარსტელის-ცხოვრება, რომ ქართველები იმ დროს აღამიანის ხორცის მჭამელნი იყვნენ 39).


34) Voyage t. I, p. 108.
35) Ibid. t. IV, p. 12.
36) Ibid. p. 10-20.
37) Ethn. p. 315.
38) VoYage... t. VI, p. 14-15.
39) Hist. de la Géor. t. I, p. 33-34, 100-101 Vir. S-Mari. Mém. sur l'Arm. t. I, p. 306.
40) Voyage... t. I, p. 134-135.

სკანდინავიებში. თვითოველი ამ ტომებში თავიანთ-სცემად რომელსამე ხეს: მუხანს, ლღეს და სხ. მანსაკუთრებით განსხვავებული იყო მევიეტე, სადაც, როგორც სჩანს, ღმერთისმს უნდა ჰქონდეს დასაწყისი. აქ საღმთო ხეები ხშირათ იზოგება ნილოსის ეაკე-მინდერების ძველების მხატრობაში. პლუტარხის სიტყვით სიკომორის ლღვის ხე მზირისის ღვთის ხე იყო და პირველ-დასაწყისს სამშობლოს წარმოადგენდა 41). როგორც ახლა ნამდვილათ არის გამოკვლეული, მზირისი იყო ღვთათ შერაცხილი ეგვიპტელთ მეფე სეზოსტრისი 42), რომელიც ცხოვრებდა მე XIV საუკ. შრისტეს წინათ, სახელ-განთქვა თავისის სამხედრო მოგზაურობით და სხვა ქვეყნების დაჭერით, რომელმაც აღამიანთ ასწავლა, როგორც გვარწმუნებენ, სხვათა შორის ღვთის კეთება 43), რომელმაც, ჰეროდოტის თქმულებით, შაზის მდინარეზე დასახლდა ეგვიპტელების კალონია, საიდანაც შთამომავლობენ ეთიოპ კოლხიდელები, რომელმაც დაპყრობილს მხარეებში გაამენა ქალაქები, იმათ შორის თვით კოლხიდაში მან, შემდეგ არხეოპოლი ანუ ნაქალაქეი 44). შესანიშნავი ეს არის, რომ სეზოსტრისის სახელი აქამომდე დაშთენილია ძვეკაზიის ზვიპირ-სიტყვაობაში, რომელშიაც თვით იმისი პირადი თვისებები გამოიხატება. ჩერქეზები თავიანთის უკანასკნელის სიკვდილის დრომდე იმას უწოდდნენ სეოსტრისი იყო დიდი მგზაურობის მოყვარე ღმერთი, რომელსაც ხელთ ეყრა ქარი და წყალი. სეოსტრის წარმომადგენლათ იმათ მიანდათ ქორფა მსხლის ხე, რომელსაც მოსჭრიდნენ ხოლმე ტყეში, შემოჭქონდათ შინ და თავიანთ-სცემდნენ როგორათაც საქონლის მფარველს ღმერთს 45).—თვით მიფსოქროს რუნზე მევიეტეში უნდა ჰქონდეს თავისი დასაწყისი, რადგანაც იქ საღმთო ხეების თავიანთ-მცემელთ ჩვეულებათ ჰქონდათ მათის შტოების შემკობა ოქროს ნივთებით: ოქროს მანიკით, ბრასლებით, და სხ. შესაძლებელია, რომ ეს ჩვეულება ძოლხიდაში გავრცელდა ერთსა და იმავე დროს, როდეს ხე-ტყის თავიანთ-ცემა შემოვიდა: ეს კია, რომ მრავლემ აქ ნახა ოქროს რუნი ძოლხიდის წალკოტში დაკიდებული დიდს იფნის ხეზე 46).—პრიმანი, „მაცთური სული“, წინააღმდეგი მრამუზისა, „ბრძენის სულისა“ 47), პრიმანი, მეფე დევებისა 48), იყო აგრეთვე ცნობილი ძვეკაზიაში. ძვეკაზიის ზვიპირ-თქმულობით, მრამუზისაგან დათრგუნელი პრიმანი ანუ ამირანი შემქვალულია ერთს მთის შუა-გულში, და შელურსმულია მძიმე ჯაჭვით, რომლის შეწყვეტას ამათ ცდილობს. თვით დევები, რომელთაც სპარსნი წარმოგიდგენენ ცეცხლით-მოხილ გველებათ, რომელნიც არაბთ თქმულებაში არიან გადაქცეულნი დივებათ, ბერძენის თქმულებაში ტიტანებათ, 49), რომელნიც ქვეყნის პირზე სთესენ სიბოროტეს და უბედურებას 50), დიად გავრცელებულნი არიან აგრეთვე ქართველების წარმოდგენაში. ძართველები იმათ უწოდებენ დევებათვე. დევეთა უშველებელი გველი; რომელიც ხშირათ მოიხსენება სახალხო ზღაპრებში. დევეს აქვს რამდენიმე აღამიანის-მსგავსი თავი; იმისი გლევა-მოსილი თვლები, საზარელი კბილები, უშველებელი ტანი ზარსა სცემენ დედა-მწიას. დევი ებრძვის ყოველსავე სულ-ღმრთულს. თუ არ სასწაულებრივს ძალას იმისი ძლევა არას შეუძლიათ.

შეოდალური სისტემა, ანუ ფეოდალიზმი *)

41) Ethn. p. 387-389.
42) Ibid. p. 134-135.
43) Ibid. p. 142-143.
44) Ibid. p. 157.
45) Ibid. p. 137-138. Dubois, Voyage, t. I, p. 137. Bell, Journal. t. I, p. 249.
46) Ethn. p. 389-390.
47) Макас Мюллера, Наука объ языкѣ, стр. 156-157.
48) Ethn. p. 359.
49) Ibid. p. 315, 331, 413.
50) Mém. sur l'Arm. t. II, p. 412, 473.

*) Fief, ახალ ლათინ. ენაზე Feodum (საქსონურზე fee ჯილო, od—საკუთრება); აქედამ



დავაჯიშო ისე ძველია, როგორათაც თვით ისტორია. ჩვენ ზემოთ მოვიხსენეთ ხუთი კასტა ანუ საზოგადო წესი სტრაბონის დროს იბერიაში. ლეუბა აღრიცხავს ჩერქეზეთში იმდენსავე კასტას, რომელნიც, იმისი შენიშვნით, სრულდებით ეთანხმებიან საშუალო-საუკუნოების რაინდობას ანუ ძველის საბერძნეთის არისტოკრატას. „სკვებულების ფეოდალიზმი საბერძნეთში იგივეა, რაც ჩერქეზეთის ფეოდალიზმი. მანეთარებულს ხასიათს ერთსა-საც და მეორისასაც შეადგენდნენ მონები და ტყვენი. აღამენონი, ულისი, ახილენი, რომელნიც მსუბუქის ნაგებით უყვართ დასახიან, მდიდარ ქალაქებს, ააოხრებენ იმათ, დასტყვევებენ იმათ მცხოვრებლებს, წარმოგვიდგენენ ცხოველ სურათებს ჩერქეზეთის მამაებისა და ჯუღუბებისა. როდესაც პარი-სი იტაცებს მღენეს და ზილანის დედა-წულთ, მაშინ ის იმ საქმესვე იქნა, რასაც ახლა ჩაღან ჩერქეზები. მაგრამ ისე არაფერი გაგაკვირვებთო თქვენ, როგორათაც სრული მსგავსება იმათი ფეოდალიზმისა და ყოფა-ცხოვრებისა ლიტების ფეოდალიზმთან და ყოფა-ცხოვრებასთან 51)“. მონაობას ჩერქეზეთში და აფხაზეთში მუდამ ფასი ედვა. სტრაბონი, პრაკობი, ინტერიანო და ახლის დროს მოგზაურნი იხსენიებენ მონაობის აღებ-მიცემობას. შეიძლება ეთქვას, მილიონი მონები არიან გასყიდულნი ჩერქეზეთიდან და აფხაზეთიდან სხვა და სხვა მხარეში, ვითომც რომ „მანგებს“ ჰქონდა აზრი ამ სახით კაცობრიობის მოდგმა გაუმჯობინა 52)“. რა გვართ უმზერდნენ აქ მონებს ეს იქიდან სხანს, რომ ნემეცური მოგზაურის რეინგის სიტყვით, რომელსაც მოიხსენებს ლეუბა, ჩერქეზები მონებს მსხვერპლათ სწირავდნენ მიცვალებულ ნათესაებს და მეგობრებს, ახილენის მიბაძვით, რომელმაც თავის მეგობარს პატროკოს შესწირა, იმის საფლავზე, მონანი და ტყვენი 53)“. რა არის ძველბერძენი სისხლის-ძიება (μερτε) ყველამ ვიცით. სისხლი ძველბერძენის მითულებში წარმოგვიდგენს თითქმის მთელს სამსჯავრო სისხლის კანონს. ლეუბას სიტყვით, სისხლის-ძიება არსად არ არის ისე მკაცრათ აღბეჭდილი, როგორათაც აქ. აქ დათხეული სისხლი უძველესათ უნდა იზღვიოს. მონათესავეს, მახლობელია თუ შორეული, სამლო ვალათ აძევს, რომ განსწმიდოს დაღვრილი სისხლი-ნათესავისა, დაამშვიდოს იმისი აღშფოთებული სული. ლეუბას მოჰყავს ილიადიდან ერთი მაგალითი დასამტკიცებლათ, რომ იმ დროს სისხლის-ძიება სჯულათ იყო დაწესებული საბერძნეთში. თვით სტუმართ-მოყვარება ძველბერძენთა, რომელიც ვალათ აძევს მასპინძელს და იმის მონათესავეს სისხლის-ძიებას სტუმრისას, წარმოგვიდგენს აგრეთვე სტუმართ-მოყვარებას ძველის საბერძნეთისას. მამაშუარებული ავაზაკობა ანუ ქურდობა ჩერქეზების ჩვეულებით უძველესათ უნდა დასაჯოს ორ-წილათ; იდუმალი ქურდობა კი იმათ აზრში არის საქებარი საქმე, კარგი ვაჟ-კაცობა. ასე იყო თვით ლაკედემონში 54)。

შირიმისა და საქართველოს აღწერაში ლეუბამ განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია ძველს კლდის-ქვაბებს, რომელნიც ღიად ბლომით არიან დაბნეულნი აქა-იქ. იმათი ისტორიული მნიშვნელობა, ჩვენის ფიქრით ლეუბამ პირველათ უჩვენა. იმის სიტყვით „კლ-

დის-ქვაბები არიან უძველესის ცივილიზაციის ცოცხალი მოწამენი. ის ამბობს, რომ აქამომდე ჯერ ღირსეულათ ყურადღება არ არის მიქცეული ამ საგანზე; თუმცა ის ღიად შორს არის ჩვენს ყოფა-ცხოვრებაზე, მაგრამ თუ გამოვიკვლიეთო, ის ბევრს ფაქტებს გვიჩვენებს, იმისთანა ფაქტებს, რომელნიც ისტორიის წინა-დროების წყვედიან ფარდით არიანო გარემოცულნი. სულ ძველათ, უძველესი ნაწილი აზიის მცხოვრებთა, ბინადრობის დადების შემდეგ, სადგომათ კლდეებში ქვაბებსა სჭირდა; კლდეებშივე სხრიდნენ ტაძრებს და სასაფლაოებს. კლდე-ქვაბების კვალი აქამომდე მრავალი იპოვა იმ დროეთში, სპარსეთში, ეგვიპტეში და აზიის სხვა ნაწილში. ძველი ქალაქები იდუმეთისა კლდეებში იყო გამოქანდაკებული. ლიანის მთის ძირი, ჩრდილო ვაკე-მინდორი იორდანისა, სახელ-განთქმულნი იყვნენ ამ გვარისავე ქალაქებით. სიცილიის ტინები და ჩხვლეტილებთა უწინდელის საეანებით. ღიად საბერძნეთში და მტრურაში აქამომდე დაცულია კლდის აკლადები; კრიტის ლაბირინტი იყო ასპარეზი პირველის ბერძნების მიფებისა. მცირე-აზია და თვით შესალია საესეა მშვენიერის გროტებით. 55) შრანციის სამხრეთათ თქვენ ჰპოულათ ურიცხვ გროტებს, „სადაც, როგორათაც სხანს, სცხოვრებდა ნათესავი, მსგავსი ძველბერძენისა, შირიმისა და მეოტიდიას მოდგმისა“. 56) თვისის ცივილიზაციის დასაწყისში, ამბობს იგივე ლეუბა, ტაფრნი, ქართველნი, კოლხნი, სომეხნი, და ძველბერძენი შუა-ადგილებისა და ჩრდილო-მხარეების ტროგლოდიტნი. ცხოვრებდნენ კლდე-ქვაბებში. შირიმში არიან ისინი ბლომით გაბნეულნი იმ კერძანისა, ჩერქეზკერძანისა და ტეპეკერძანის კლდეებში და სხვ. საქართველოს კლდე-ქალაქები არიან: უფლის-ციხე, ბორის მახლობლათ, არმაზში მცხეთის გარე-შემო, მარძია და ზედა-თმოგვი, ახალციხის მხარეში, მღვიმე იმერეთში და სხვანი 57)। მასობრივი შრომა დადებული გროტებზე: მრავალი იმათგანი ეტაჟებთ არიან დაყოფილნი; აქ არის სასინათლეები, ბუხრები, კები ანუ მდინარეზე სავალი კლდის გულში ჩაბნეული გზები და ყოველივე, რაც სახლოსობაში საჭიროა სახმარებელათ. ჭაბიდან ქვაბებში, ეტაჟიდან ეტაჟამდე გამოკრილია კიბები, ტერრასები, გალერები. ზოგიერთი კლდე-ქვაბები წარმოადგენენ გასაკვირველს ხელოვნებას. ამ ხელოვნების მაგალითათ ლეუბა უჩვენებს უფლის-ციხეს. უფლის-ციხეში, განსაკუთრებით საუფლო პალატში, თქვენ გაკვირვებთა მოჰყევართ სიმეტრიას და ორნამენტების ხელოვნებას: კორნიზებს, სვეტებს, თაღებს და სხ. 58)। მისაც ყურადღებით წაუკითხავს ლეუბას მოგზაურობაში როგორათაც კლდე-ქვაბების ქალაქები შირიმისა და საქართველოსისა, აგრეთვე უძველესი იმათი ციხე-სიმაგრეები, ესე იგი: პანტიკაპეა, პიმერიკუმი, ბორის-ციხე, ხერთვისის-ციხე და სხ. ის უყოძმებელია არ დარწმუნდეს, რომ პირველთ ხელოვნებებში წარმომდგარა უკანასკნელთ ხელოვნება: ამ ციხე-სიმაგრეების შენობის რიგი, იმათი ადგილ-მდებარება, იმათი შინაგანი დაწყობილება თითქმის იგივეა, რაც კლდე-ქვაბებში. ისინი არიან ამართულნი აგრეთვე მაღლობებზე ტერრასებით ანუ ეტაჟებით; აქ არის გათხრილი მიწის-გულში წყალზე ჩასავალი გზა; ეტაჟიდან ეტაჟამდე გზა ანუ ახილია, ანუ დახურული; იმათ მაღალ-ღიად-როვან კლდეებზე მიდგმულია საცხოვრებელი შენობები თახჩებით, ბუხრებით, სასინათურებითურთ და სხ. უძველესი ციხე-სიმაგრეები აშენებულია უკიროთ დიდროვანის ფიქალა-ქებით; აჭური ანუ არ სად არის, ანუ იშვიათია. 59)。

შირიმის კლდეებში და ტაფრის ვაკე-მინდორებში დაწყობილი ვიდრე შანისისა და შუბანის ნაპირებამდე მოგზაური შეხედება აქა-იქ მრავალს გორაკებს ანუ კურგანებს. ისე ბევრი კურგანები არსად არის, როგორათაც პიმერიკუმისა, პანტიკაპეისა და ტემრუკის გარეშემო და პიმერიის ბოსფორის კიდეებზე. ტურგანები იპოვა აგრეთვე შესალიაში, მაკედონიაში, ალბანიაში. ლეუბას აზრით იგინი არიან ნაწარმოებნი იონიელთ კოლონიზაციისაგან; პირველნი იმათნი მომგონნი კი უნდა იყვნენო ბერძნების წინაპრნი პელაგები. მრავალ კურგანზე შეუნიშნავთ უშნოთ გამოკვეთილი ქვის სვეტი სფინქსის სახით. შიგნიდან ზოგიერთი კურგანი თავ-შეკრულია ეგვიპტურის თაღით. ტურგანებში იპოვა ღიად ღირს-შესანიშნავი არხეოლოგიისთვის საგნები: მამაკაცისა და დედა-კაცის ძვლებზე ბრასლებები, მანიაკები, გულზე ეგვიპტური თაღისებები და სხვა სამკაული, ძველი მანეთები და ვაზები წარწერებით ბერძნულს ენაზე 60)। აქ განსაკუთრებით თქვენ ყურადღებას მიაქცევინ ვაზები, რომელთაც უწოდებენ ეტრუზის ვაზებათ, რადგანაც იგინი პირველათ აღმოჩნდნენ მტრურაში იტალიაში, და რომელნიც აღმოაპოვებინ როგორათაც საბერძნეთში, აგრეთვე მთელს აღმოსავლეთის მხარეებში. ბერძნები ამ ვაზებს უწოდებენ კალს; ისინი იყვნენ თიხისა, გამოქანდაკებული და წარმოადგენდნენ რამდენსავე სხვა და სხვა ფორმას: იმათ ჰქონდათ ერთი, ორი და სამი ყური; კალსები შეადგენდნენ წყლის მოსატანს ქურკელს, მხარეზე ანუ თავზე შემოსადგმულს. არის უყურა კალსებიც, ღიად დიდს ზომისა, რომელნიც მთლათ ჩამჯდარი არიან მიწაში ღიად შესანახავათ. მს არის ჩვენბერძენი ქვეყნები, რომელნიც ბლომით იპოვებინ შირიმის ძველს ნანგრევებში. რამდენათაც შირიმს დაჰმორადებთ, და საქართველოს შუა გულში შესდინართ, იმდენათ ქვეყნების ზომა უფრო დიდია. მხეთში, ამ მთელის ძველბერძენის უკეთესს ვაზის სამშობლო აღიღწეო, სიმაღლე უდიდესის ქვეყნისა ერთი საყენია და მეტიც 61)। „ღინის შენახვა ქვეყნებში, ლეუბას გამოკვლიეთ, ღიად ძველი ჩვეულებაა. მაგრამ არ შეგვიძლიან დავამტკიცოთ, ეს ჩვეულება ქართველებმა ბერძნებისაგან მიიღეს, თუ ბერძნებმა ქართველებისაგან. მს კია, რომ როდესაც არგონავტები პოლხიდაში შემოვიდნენ, მაშინ პოლხიდაში ცივილიზაცია კიდევ დამყარებული იყო 62)。“

„შნდა შენეშნოთ, რომ ქართული სიტყვა ღინო სომხურათ ითქმის კინი, ბერძნულათ ისინი, ლათინურათ vinum, რომელნიც თითქმის ერთგვარ გამოითქმინ, მაშინ, როდესაც ეს სიტყვა არ არის სპარსულში, არაბულში, თურქულში და თურქო-თათრულში. მს შემთხვევა და აგრეთვე ის, რომ ვაზი ისე უხვათ არ სად იპოვა, როგორათაც საქართველოში და სომხეთში, გვიმტკიცებენ, რომ საქართველო და სომხეთი უნდა შეადგენდნენ ნამდვილს ვაზის სამშობლო ადგილს, რომ ვაზი აქედამ უნდა იყოს გავრცელებული იმ მხარეებში, რომელნიც ჩრდილოეთით საშუალო-აზიის ზღვას მოეხებებიან. მს უფრო ამისთვის არის დასაჯერებელი, რომ არც vinum, არც სხვა იმის მსგავსი სიტყვა არ აღმოაპოვა ძველს ინდოეთის ენაში, რომელსაც დაუცვავს მრავალი ფესვი, ერთი და იგივე იმის მონათესავე ენებში—ლათინურში, ბერძნულში და ნემეცურში 63)。“

ძველბერძენის ტომთა მეურნეობა აღბეჭდილია აგრეთვე ძველის დროს ბეჭდით. აწინდელის ჩერქეზების სახლოსობა, ლეუბას თქმით, წარმოგვიდგენს ნამდვილს სახლოსობას ტუ-

რლანდის ლეტტებისას, ამ ნახევარ-სლავურ ნურის და ნახევარ-ფინურის ტომისას 64)। ჩვენ ვაპოულათ ძველათ სხვათა შორის: ჩვეულებას, რომელსაც აქამომდე მისდევნ საქართველოს ტომის ნაწილი და სომხები, ფხვირკეთი სხდომას ხალიჩა-დაფენილ ტახტზე, მუთაქაზე მიწოლით 65)। ვაპოულათ საქმელში ქაშათ ხმარებას: ბრინჯისას საშუალო-აზიაში, მართლში-მანეთში და სომხეთში, ლომისას (panicum italicum) ლინის მთას იქით და იმის მსგავსს საქმელს სლავიანურს ტომებში, ლიტველებში და ლეტტებში 66)। ვაპოულათ მწვადს, რომელსაც იმ გვარათვე ამზადებდნენ, როგორათაც ახლა ჩვენში, თვით ილიადის დროს ბერძნები 67)। ვაპოულათ ღინის სმას ვერცხლის აზარფეებით და ყანწებით 68) და ამასთანავე ნაღებში ტრატის წარმოქმნას ნათესავთ და მეგობართ საღვებდელათ და სულის განსასვენებლათ: ეს ჩვეულება მცირის დროსვე იცოდნენ 69)। თვით ძველბერძენი ტანთ-საცმელი არ არის ახალი: პანტიკაპეის ძველების მხატრობაში ლეუბას ცხდათ შეუნიშნავს როგორათაც ჩვენბერძენი დედა-კაცი ჩადრი, აგრეთვე მამაკაცი ჩოხა, რომელიც არის ტანთ-საცმელი უწინდელის გერმანიელებისა, სკითებისა, სარმატებისა და აგრეთვე სერმეჯი აწინდელის ლიტველებისა 70)। ჩვენბერძენი ნაბადი, სომხური აფინჯი, ჩერქეზული ჯაკო სხვა არა არის რა, როგორათაც ძველი ხლამიდა, რომელშიაც ულისის მამა ლავრტი, ილიადის თქმულებით, ზამთარში, ცეცხლთან გახეული იწვა, მონებ—მხლებელი 71)। ხმარობენ აგრეთვე კავკაზიელი სლავიანო-თათრულს თუღუფს 72)। თურქული ბაშლიყი, აფხაზური ხეთაფი, ჩერქეზული ფახო, ქართული ყაბალახი წარმოგვიდგენს ფრიგიულს თავ-სახურავს, რომელიც იხმარებდა სკითებისაგან და ახალს დრომდე ხმარობდნენ ლიტველნი და რომელიც ძველბერძენი გავრცელებულია ყოველგან. მახლობლი ხმარათ აღმოაპოვა პანტიკაპეის ძველებისა და მტრურის ვაზების მხატრობაში, სადაც ამასთანავე შენიშნება ამაზონების სრულს კავკაზიურს ტან-საცმელზე ჩერქეზული ვიწრო შარვალი და ტყავის ბაშმაკები, რომელთაც ხმარობენ სკითნი 73)। შენიშნება აგრეთვე სამხედრო იარაღი; სახელდობრივ: ხელ-შუბი, შეილდ-ისარი 74) და მრგვალი ფარი, ხით შეწული, თვით იმ გვარი ფარი, როგორიც დაჰქონდათ ძველს ძველბერძენის ტომებს და აქამომდე დაქვთ გლიგოგლებს ანუ ინგუშებს 75)। აქ არ შეიძლება არ მოვიხსენოთ თავდა-აზნაურის ვაჟის აღზდა ჩერქეზებში, აფხაზებში და თვით განელილის საუკუნოების საქართველოში, როგორც ამას შემდეგ უჩვენეთ. მავრ სიყმაწვილობაშივე გაეპარებოდა უცხო სახლში, სადაც ასაკობამდე იზღებოდა და ისწავლებოდა ჩვეულებისამებრ; დაბრუნების დროს შესაფერი ჯილდო იყო დადებული. ხან და ხან გამზდელი თვითონვე კისრულობდა ქაბუკი-მოწაფის დაქორწინებას: როდესაც ის ღირსეულს დედაწულს შენიშნავდა, ის მეგობრების შემწევით იმას იტაცებდა და იმის საყიდელს თვითონ მეგობრებისავე თანა-შემწევობით აძლევდა ქალის დედა-მამას. მს ჩვეულება წარმოგვიდგენს პელეას, რომელიც ახილენს აღსაზრდელათ მიანდობს ცენტარი ხირონს. სასყიდელი, ახლანდელის მზითვის მაგიერი, ეკუთვნის აგრეთვე ძველს ჰომერის დროებას: როდესაც აღამენონი ფიქრობს, რომ ერთი თავისი ქალი მისცეს ახილენს, აგები ამ სახით ის დაამშვიდოს ბრინჯის მოტაცებისთვის, მა-

51) Voyage... t. I, p. 108-109, 148-149, t. II, p. 49-50. Bell, Journal d. une residence en Circassie, t. I, p. XXXIV.
 52) Voyage... t. I, p. 125.
 53) Ibid. p. 140.
 54) Ibid. p. 128-131.
 55) Ibid. t. VI, p. 315-317.
 56) Ethnog., p. 436.
 57) Voyage... t. VI, p. 218, 319.
 58) Ibid. p. 260-263, 282-283, 306-309, 311, 318-319.
 59) Ibid. t. II, p. 302-303; t. III, p. 184-189; t. V, p. 119-121, 256-262.
 60) Ibid. t. V, p. 30-31, 44-45, 75-77, 132-133, 137-162, 181-183. Klaproth, Voyage au mont Caucase, t. I, p. 286. Ethnog., p. 203-209, 347.
 61) Dubois, Voyage, t. I, p. 285 t. V, p. 151-161; t. VI, p. 177, 355.
 62) Ibid. t. I, p. 285.
 63) Tableau du Caucase, p. 123.
 64) Voyage, t. I, p. 114.
 65) Ibid. t. V, p. 208, 211, 234-235.
 66) Ibid. t. I, p. 146, note 1.
 67) Ibid. note 3.
 68) Ibid. t. V, p. 204, 205.
 69) Ibid. t. I, p. 86, note 1.
 70) Ibid. p. 118-119; t. V, p. 203, 210, 213.
 71) Ibid. t. I, p. 121, 147 note; t. V, p. 180.
 72) Ibid. t. V, p. 202.
 73) Ibid. t. I, p. 120-121; t. V, p. 178, 210-211.
 74) Ibid. p. 207.
 75) Ibid. p. 478.

შინ ის ამბობს: „არა თუ მე არ მოვთხოვო...“

დსასრული პირველის ნაწილისა. იმითი ბაქრადე. ივნისი, 1869 წ. თბილისი.

თბილისიდან ჟუთისამდე.

მცხეთაში ცხენები არ იყო და ხუთი-ოცდაათი დავრჩით. შამოსწყვეტ ერთს სტანციის...

მეგობარი სადღაც წავიდა და ორი თუ სამი საათის უკან მობრუნდა, თან მოიყვანა...

ჩემი საქმისა მე ვიციო, სიძველე და ფიცხლეც...

არ გამოვიყრიდებოდა თუ ქართველს თავისი...

ბიო. ლაზთიანათ იყენენ ღვინო ნასმევი. მედღუქენც ურთიერთად იყო, გაჩქარებულათ...

მედღუქენც მწვედები შევაწყვეთ, კარგი ღვინო...

1869 წელს, 31 მაისს. ქ. ჟუთისი.

სხვა და სხვა ამბავი.

„რუსის უწყ.“ სწერენ ქ. ბორჯომიდან (ძალულის გუბერნიამში), რომ იქაური საზოგადო...

„პეტერბურლის უწყებებში“ სწერენ, რომ შამილი ქ. ძალულიდან გამგზავრებულა...

ბარონ ჭეზარ—დესოტონის შვილი-ბბა და შვილი შვილებმა შესწირეს ქ. რეველს...

ნეირი ხელოვნების გამოცემა წარწინებული ანგლიის პოეტის შექსპირის „მარტინ კლიპანის“...

საპატო მოქალაქის ცოლმა—სეგვალეცამ შესწირა ქს ქრასნოიარსკს 80,000 მანეთის...

„Голос“-ში სწერენ, რომ ილის უფელში ერთი ვილატ გამოჩენილა, დაუფლია სოფლები...

ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით სალიმ-ფენდი ალიარება მსხალეთის ვიცე-კანსულად ქ. ჟოთში.

სამაზრო ცნობები. თბილისის მღვდლის სასამართლოს ბაქალის თანამდებობის ამხრულმდელი პეტრე ხანდამოვი, მცხოვრები...

თბილისის მღვდლის სასამართლოს ბაქალის თანამდებობის ამხრულმდელი პეტრე ხანდამოვი, მცხოვრები...

თუთაისის გუბერნიის სასამართლოში, თვის გარდაწყვეტილობისამებრ, დანიშნა თვის თანდასწრებით აგვისტოს...

თბილისის მღვდლის სასამართლოს ბაქალის თანამდებობის ამხრულმდელი პეტრე ხანდამოვი, მცხოვრები...

16) Ibid. t. I, p. 115-116, notes. Bell, Journal. t. I, p. VII. XII.

17) Dubois, Voyage. t. I, p. 140.

18) Ibid. t. V, p. 10-11.